

ბანკების საინვესტიციო რესურსების ფორმირების პრინციპები და თავისებურებები

ირინა მამალაძე

XX

ეკონომიკა სხვადასხვა დონეზე ფუნქციონირებადი უამრავი სისტემისგან შედგება და ყოველი მათგანის განვითარებას ორის სახის რესურსები ჭირდება:

- მიმდინარე, მუდმივი და უწყვეტი;
- პერიოდული, კაპიტალური ანუ საინვესტიციო.

თუ კვლავწარმოება რესურსების მიმდინარე ნაკადის ხარჯზე ხდება, მაშინ სისტემა ერთჯერადი ხასიათისაა, ცვეთას განახლება არ მოსდევს და გაქრობა არ ასცდება;

თუ სისტემის კვლავწარმოება მისი გაცვეთილი ნაწილებისა და მთლიანად სტრუქტურის პერიოდული კაპიტალური განახლების ხარჯზე მიმდინარეობს, მაშინ გრძელვადიან სისტემაზეა საუბარი. მის ხანგრძლივად არსებობის კვლავწარმოებაში რესურსების ინვესტირება განაპირობებს (მარტივი ან გაფართოებული, წინანდელ ან უფრო მაღალ ხარისხობრივ დონეზე).

თუმცა ყველა რესურსი, საინვესტიციო რესურსების ჩათვლით მკაცრად შეზღუდული და უთანაბრობადაა განაწილებული. ამიტომ აუცილებელია ისეთი მექანიზმი, რომელიც მეურნეობაში მათ განაწილებას უზრუნველყოფს საერთო ეფექტიანობის ზრდის მიზნით. ამგვარი საინვესტიციო რესურსებისათვის მექანიზმად გვევლინება ფინანსების ბაზარი, რომლის ფარგლებშიც ხდება ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნებისა და მათი მიწოდების შეპირისპირება. ამ რესურსების მუდმივი ყიდვა - გაყიდვის პროცესში. იგი მოიცავს ეკონომიკაში ფინანსური რესურსების მოძრაობასთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მთელ ერთობლიობას.

ბანკების საინვესტიციო რესურსების ბაზარი ფინანსების ბაზრის ნაწილია, თვითონ ფინანსების ბაზარი კი საბაზრო ეკონომიკის ერთ - ერთ ფუნქციურ ნაწილად გვევლინება. ფინანსების ბაზრის ძირითადი ფუნქცია კაპიტალის როგორც საზოგადოებრივი წარმოების ერთ - ერთი ფაქტორის ფორმირება, გადანაწილება და გადაადგილება. როგორც საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი, ფინანსების ბაზარი ახორციელებს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების (დანაზოგების) მობილიზების ყველაზე უფრო ეფექტიანად გამოყენების სფეროებში მათ გადასატანად, ე.ი. იქ, სადაც მათგან ყველაზე სწრაფი სამეწარმეო შემოსავლის მიღებაა მოსალოდნელი.

ფინანსების ბაზარი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობის ორგანიზებული ან არაფორმალური სისტემაა. ამ ბაზარზე ხდება ფულის გაცვლა, კრედიტის გაცემა და კაპიტალის მობილიზება. ძირითად როლს აქ ფინანსური ინსტიტუტები თამაშობენ, რომლებიც ფულადი სახსრების ნაკადებს მათ მესაკუთრეებიდან მსესხებლებისკენ მიმართავენ. საქონლად გვევლინება საკუთარი ფული და ფასიანი ქაღალდები.

ფინანსების ბაზარი ფულად სახსრებს გარდასახავს, როგორც კერძო ისე სახელმწიფო მეწარმეობისთვის საჭირო ინვესტიციებად. ამ ბაზრის დაყოფის კრიტერიუმია მიზანი - კაპიტალის მოზიდვა ფინანსების ბაზრის ამა თუ იმ

სექტორის ინსტიტუტებისკენ მათი წარმართვის მეშვეობით. თუ კაპიტალს წარმოების გასაფართოებლად და ძირითადი კაპიტალის გასახლებლად იზიდავენ, მაშინ, როგორც წესი, კაპიტალის ბაზარს იყენებენ; თუკი საბრუნავ კაპიტალზე წარმოქმნილი მოთხოვნის დაფარვაა საჭირო, მაშინ ფულის ბაზარს მიმართავენ ხოლმე. აქვე ვთქვათ, რომ ჩვენ ამგვარად არ განვიხილავთ ფინანსების ბაზრის ისეთ სექტორს, როგორიც ძვირფასი ლითონების ბაზარია, რადგან იგი საქონლის ბაზარსაც შეგვიძლია მივაკუთვნოთ და ფინანსების ბაზარსაც. ამასთან, მისი ის ნაწილი, რომელიც ფინანსების ბაზარს ეკუთვნის, ძირითადად ფასიანი ქაღალდების ბაზარზეა წარმოდგენილი ფიუჩერების, ფორვარდების, ოპციონებისა და იმ სხვა ფასიანი ქაღალდების სახით, რომლებიც გარკვეული რაოდენობის ლითონზე უფლებას ადასტურებენ.

ფულის ბაზარს და ფასიანი ქაღალდების ბაზარს შორის დაყოფა საკმაოდ პირობითია. ფულის ბაზარი არის ფულადი სახსრების მოძრაობის პროცესში სუბიექტებს შორის წარმოქმნილ ეკონომიკურ ურთიერთობათა სფერო, რომლის მიზანია ლიკვიდობის გადანაწილება მათ შორის. ამ ბაზარზე ხორციელდება მოკლევადიანი (1 წლამდე) დანაზოგების მოძრაობა, კაპიტალის ბაზარზე კი - საშუალო და გრძელვადიანი (1 წელზე მეტი) დანაზოგებისა. ფულის ბაზარს ზშირად საბანკო სესხების კაპიტალების ბაზარსაც უწოდებენ. თუმცა „ფულის ბაზარი“ უფრო სწორი სახელია, რადგან, ჯერ ერთი, იგი ფინანსების ბაზრის ამ ნაწილში შესრულებული ოპერაციების მოკლევადიანობასა და იმ ფორმას მიუთითებს, რომელიც კაპიტალს აქვს ამ ბაზარზე, ხოლო, მეორე მხრივ საკუთრივ სასესხო ოპერაციების გარდა ფულის ბაზარს ვალუტაზე განხორციელებული ოპერაციები ან ვალუტის ბაზარიც ეკუთვნის. ფულის ბაზარს ეკუთვნის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნაწილიც. მაგალითად, თამასუქები, როგორც წესი, მოკლევადიანი სესხების მიღებას ემსახურება და თავისი არსით ფულის ბაზრის ინსტრუმენტად გვევლინება.

კაპიტალების ბაზარი იმ სახსრის მოძრაობას წარმოადგენს, რომელთა შედეგი ინვესტირებაზე არსებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა.

ფულის ბაზარსა და კაპიტალის ბაზარს მათი მოზიდვის ვადის მიხედვითაც ყოფენ. კაპიტალის ბაზარზე ემიტენტები და მსესხებლები კაპიტალს, როგორც წესი, 1 წელზე მეტი ხნით იზიდავენ, ანუ ეს ბაზარი საშუალო და გრძელვადიანი ინვესტიციების სფეროა; ფულის ბაზარზე კაპიტალის 1 წელზე ნაკლები ხნით იზიდავენ ხოლმე ფულის სწორი მიმოქცევის სფეროს ემსახურება. აქ ფული ფუნქციონირებს როგორც მიმოქცევისა და გადახდის საშუალება, რაც განსაზღვრავს კიდევ ამ ბაზარზე გამოსული ფინანსური ინსტრუმენტების ტიპებს; კაპიტალის ბაზარი გაფართოებული კვლავწარმოების პროცესს ემსახურება და კაპიტალი აქ თვითმზარდი ღირებულების სახით ფუნქციონირებს.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ფინანსების ბაზრის ის ნაწილია, რომელიც ინვესტიციებს შუამავლობს და თანაც ემსახურება როგორც ფულს, ისე კაპიტალის ბაზარს. ამასთან, ფასიანი ქაღალდები ფინანსური რესურსების მოძრაობის მხოლოდ ნაწილს მოიცავს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი მიკროეკონომიკური ფუნქციაა კაპიტალის გადადინება უფრო რენტაბელურ დარგებში ბაზრის ინსტრუმენტების (ფასიანი ქაღალდების) მეშვეობით, რის შედეგადაც საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის ტრანსფორმირება ხდება. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ამოცანაა კაპიტალის მოზიდვის საჭიროების მქონე პირების (ფასიანი ქაღალდების ემიტენტების) დაკავშირება ფინანსური სახსრების განთავსების მოთხოვნილების მქონე პირებთან (ინვესტორებთან). ფასიანი ქაღალდების ბაზარს სტრუქტურულად ასე ყოფენ:

- პირველადი ბაზარი, რომელსაც უწოდებენ ფასიანი ქაღალდების განთავსების გარიგებათა ერთობლიობას, ფასიანი ქაღალდების მიყიდვას პირველ მფლობელებზე. ამ გარიგებებში გამყიდველის როლში ან თვითონ ემიტენტი, ან მის მიერ უფლებამოსილი აგენტი;

- მეორადი ბაზარი, ე. ი. ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდები გადაყიდვის გარიგებები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საკუთრების ინსტრუმენტებია აქციები, აქციების ოპციონი, ოპციონური და ფიქრისული კონტრაქტები, ვარანტები (ისეთი მოწმობები, რომლებიც მომავალში გარკვეულ მომენტში კომპანიის ჩვეულებრივი აქციების ყიდვის უფლებას ანიჭებენ მათ მფლობელებს).

კრედიტების ბაზარი ზემოხსენებული სხვა ბაზრებივით ფინანსების ბაზრის სტრუქტურული ერთეულია. ესაა მსესხებლებს და კრედიტორებს შორის წარმოქმნილი იმ ეკონომიკური ურთიერთობების სფერო, რომლებიც დაბრუნებადობის, ვადიანობისა და ფასიანობის პირობით ფულის მოძრაობას უკავშირდება. მასზე ხდება ყველაზე უფრო რენტაბელურ დარგებში კაპიტალის გადადინების მეშვეობით სახსრების მობილიზება, ოღონდ ფასიანი ქაღალდების ბაზრისაგან განსხვავებით, ეს ფულადი ფორმის მქონე სახსრებია.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთ ნაწილზე კმაყოფილება რესურსებზე არსებული მოკლევადიანი მოთხოვნა. მასზე ძირითადად ის მონაწილეები ასრულებენ ოპერაციებს, რომლებიც შემოსავალს იღებენ ფასიან ქაღალდებში გაწეული დაბანდებებით წარმოქმნილი სპეკულაციური სარგებლის სახით. უფრო სწორი იქნება, თუ ამ სექტორის ფიქტიური კაპიტალის ბაზარს ვუწოდებთ. ფიქტიური კაპიტალია ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის სახის მქონე ფულადი კაპიტალის (კაპიტალების ბაზრის მეორე ნაწილი) დაგროვება და მობილიზება, რომელიც რეალური კაპიტალისაგან (ფული, მოწყობილობა) განსხვავებით არის არა ღირებულება, არამედ შემოსავლის მიღების უფლება. ფასიანი ქაღალდი იმ ქონებრივი უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტაციაა რომელთა განხორციელება ან გადაცემა მხოლოდ მისი წარმოდგენის დროსაა შესაძლებელი.

ბაზარზე ფიქტიური კაპიტალის დამოუკიდებლად მოძრაობა იწვევს ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების მკვეთრად მოწყვეტას მათი საბალანსო ღირებულებიდან. ეს კიდევ უფრო აღრმავებს რეალურ მატერიალურ ფასეულობებს და ფასიანი ქაღალდებით წარმოდგენილ მათსავე

ფარდობით ფიქსირებულ ღირებულებას შორის არსებულ ნაპრალს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის თავისებურება ისაა, რომ თუ მას კვლავწარმოების დინამიკის ფონზე განვიხილავთ, ბაზრის განვითარების მცდელობა კვლავწარმოების შეკვეცის პროცესს ემთხვევა. ფულადი სახსრების მოზიდვის საყოველთაოდ მიღებული სქემა ასეთია: დაგროვება ფასიან ქაღალდებში ინვესტირება იგი წარმატებით მოქმედებს მხოლოდ გაფართოებულ კვლავწარმოების პირობებში. ამ დროს სახსრები ფინანსური სექტორიდან რეალურში გადადინება და პირიქით, რადგან დროებით თავისუფალი კაპიტალები გამუდმებით ეძებენ ყველაზე უფრო სარგებანად გამოყენებას. რუსეთში ეს სქემა ძლიერ დამახინჯებულია წარმოების დაქვეითებისა და მაღალი ღირსის მქონე ინვესტიციის გამო, რამაც არსებითად გააუფასურა დანაშოვები. წარმოების ვარდნა უმართავი იყო მისი საინვესტიციო მხარდებულის თვალსაზრისით. ასეთ პირობებში ფასიანი ქაღალდების ბაზარი განმანაწილებელ ბაზრად ჩამოყალიბდა. საქმიანობის ამ სფეროს ძირითადი წარმომადგენლები ამჟამად ის ნაირგვარი საფინანსო კომპანიებია, რომლებიც ამა თუ იმ აქტივში ზანმოკლე პერიოდით განათავსებენ თავიანთი ინვესტირების სახსრებს.

იმის გამო, რომ ყველა ფასიანი ქაღალდი ფულადი კაპიტალებისაგან არ წარმოსდგება, არ შეიძლება ფასიანი ქაღალდების ბაზრის იმ ნაწილს, რომელიც ეყრდნობა ფულს როგორც კაპიტალს, საფონდო ბაზარს უწოდებენ (როგორც ფინანსების ბაზრის შემადგენელ ნაწილს) იგი ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და კაპიტალების ბაზრის გადაკვეთაზეა. ფინანსური ბაზრის ეს ნაწილი ძირითად კაპიტალში ინვესტირებას ემსახურება და პირველ რიგში, გრძელვადიან ინვესტიციებს. საფონდო ბაზარი წარმოების მომავალი სტრუქტურის ჩამოყალიბების ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტია. ამიტომ განვითარებულ ქვეყნებში მის მდგომარეობას გამუდმებით აკონტროლებს ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო ორგანოები.

საფონდო ბაზარი ფასიანი ქაღალდების ბაზრის დიდ ნაწილს აყალიბებს. თუმცა ზოგადად სამართლებრივი სივრცე და საფონდო ბაზრის ინფტრასტრუქტურა ჯერ კიდევ სრულყოფილი არაა. ამ ბაზრის ძირითადი მონაწილეები არიან მცირერიცხოვანი საინვესტიციო ფონდები და სხვა ორგანიზაციები, მაშინ, როდესაც აქ ის სპეციალიზებული კომერციული ბანკები უნდა საქმიანობდნენ, რომლებიც ინვესტირებას, ეკონომიკის რეალურ სექტორში სახსრების დაბანდებას უნდა ეწეოდნენ.

ფულადი კაპიტალის ფორმირების შემდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ წარმოების სფეროში მისი ყოფნის პროცესში, იგი წმინდა ფულად კაპიტალს წარმოადგენს. მეურნეობის სხვა სფეროებში მისი გადაცემა მის მიერ სასესხო კაპიტალის ფორმის მიღებას ნიშნავს.

სასესხო კაპიტალების ბაზარს (როგორც კაპიტალების ბაზრის ნაწილს) შეუძლია ის წვრილ - წვრილი, ცალკეული ფულადი სახსრები გააერთიანოს, რომლებსაც თავისუფლად არ შეუძლიათ ფულადი კაპიტალის სახით მოქმედება. მსხვილ თანხებზე მათი გაერთიანება ბაზარს წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესებში დიდი როლის თამაშის შესაძლებლობას უქმნის.

მოკლევადიან სასესხო ოპერაციებზე საუბრისას ჩვენ

მიმდინარე სასესიო ოპერაციების ბაზარს მივმართავთ, რომელზეც მოკლევადიან რესურსებზე გაჩენილ მოთხოვნას იკმაყოფილებენ ზოლმე. ფინანსების ბაზრის სწორედ ამ სექტორზე კმაყოფილება მოკლევადიან ინვესტიციებზე წარმოქმნილი მოთხოვნა მისი ძირითადი მონაწილეობა კომერციული ბანკები და ის ნაირგვარი საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც მოკლე ვადით გაასესხებენ ზოლმე კაპიტალს.

ფინანსების ბაზრის სექტორების განვითარება მჭიდრო ურთიერთკავშირს ავლენს. კაპიტალები თითქმის მთლად თავისუფლად გადადიან ერთი სექტორიდან მეორეში. სექტორების ზომები და პროპორციები განუწყვეტლივ იცვლება, თუმცა, ეს ბიძგს არ აძლევს ფინანსების ბაზრის სხვა შემადგენელი ნაწილების განვითარებას ეკონომიკის ჰარმონიულად განვითარება ფინანსების ბაზრის ნაწილების ერთმანეთთან სტრუქტურულ შესაბამისობას გულისხმობს.

ფინანსურის ბაზრის მთავარი ამოცანაა ფინანსური დანაზოვების გარდასახვა საწარმოო ინვესტიციებად. ამ ბაზრის ფორმირების ობიექტური წონასწორობაა ფულად სახსრებზე საწარმოთა მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილებისათვის წყაროების არსებობის შეუსაბამობა. ფინანსური სახსრები მათი მფლობელების განკარგულებაშია, საინვესტიციო მოთხოვნები იდეა კი საბაზრო ურთიერთობათა სხვა სუბიექტებს უჩნდებათ. ფინანსების ბაზრის დანიშნულება სწორედ ისაა, რომ ამ რესურსების მფლობელებიდან (დამზოგველებიდან) მათი მოსარგებლეებისკენ (ინვესტორებისკენ) სახსრების მოძრაობაში იშუამდგომლონ.

ჩნდება კითხვა: რომელ სექტორში და რა მომენტში წარმოიქმნება საინვესტიციო რესურსები და რომელ სტადიაზე გადაიქცევიან ისინი ბანკების (საბანკო) საინვესტიციო რესურსებად?

ფინანსების ბაზარზე მყოფი რესურსები ასრულებენ წრებრუნვას: ფულადი ფორმიდან საქონლურ ფორმას იღებენ, საქონლურიდან - საწარმოოს, შემდეგ ისევ საქონლურს და ბოლოს - კვლავ ფულად ფორმას. რესურსების წრებრუნვა ფულადი ფორმის მქონე კაპიტალის მთლიანი წრებრუნვის ორგანული ნაწილია.

საინვესტიციო რესურსებში ფულადი რესურსების გადასვლის მომენტი შეგვიძლია გამოვყოთ მხოლოდ და მხოლოდ ფორმალური კრიტერიუმების წყალობის, რადგან კაპიტალის გადასვლა ერთიდან მეორე ფორმაში ბუნებრივი გზით ხდება, ამ პროცესების საზღვრები კი წაშლილია და ეს მაშინ, როცა ინვესტიციების სფერო კვლავწარმოების მთელი სისტემის ერთ - ერთი სტრუქტურული ელემენტია. კვლავწარმოების საინვესტიციო ფაზა ეკონომიკის განვითარების საბაზრო ეტაპზე ჩნდება სასაქონლო წარმოების გაფართოებული ზრდის უზრუნველსაყოფად.

ღირებულების ფორმების ცვლილების და საბოლოო პროდუქტად მათი გადაქცევის პროცესი დინამიკაში უნდა გამოვიკვლიოთ (ფინანსების ბაზრის ფარგლებში). საინვესტიციო პროცესში რესურსების მოძრაობა შემდეგ მეტამორფოზათა ჯაჭვია: რესურსები (ფასეულობები) ? დაბანდები (დანახარჯები) ? შემოსავლის მიღება. ეს მოძრაობა სხვადასხვა ფორმით მოძრაობს იმ კაპიტალური ღირებულების მოძრაობითაა წარმოდგენილი, რომელსაც მისი მესაკუთრისთვისაც მოაქვს მოგება და მოსარგებლისთვისაც, ამასთან, ეს მოძრაობა განსაკუთრებულია: ინვესტორიდან

(მისი მესაკუთრიდან ან განმკარგავიდან) მოსარგებლე სუბიექტამდე. მოსარგებლესთან საინვესტიციო რესურსები თავს იყრის (კონცენტრირდება), შემდეგ კი კაპიტალურ დაბანდებად (ხარჯებად) გარდაისახება, რომელიც საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის გზით შემდეგში მოგებად ტრანსფორმირდება. ადრე ინვესტირებული სახსრები დივიდენდების სახით უბრუნდება ინვესტორს, დარჩენილი მოგება კი მოსარგებლის (მეწარმის) საკუთარ სახსრებს ადიდება.

მეწარმეების როლში ყოფნა შეუძლიათ ცალკეულ იურიდიულ პირებსა და საწარმოებს (ფირმებს), ინვესტორის როლს კი მრავალი სუბიექტი თამაშობს: კომერციული ბანკები, საპენსიო ფონდები, სადაზღვეო კომპანიები, საპაიო ფონდები, ცალკეული ფორმები, საფინანსო კონსულტანტები, კერძო პირები. მეწარმის ინტერესი ობიექტურად ისაა, რომ ფულადი რესურსები მოიზიდოს, ინვესტორის კი - მოგება მიიღოს ცალკეული კრედიტორისთვის კუთვნილი პროცენტის სახით ან აქციიდან შემოსული დივიდენდის სახით. ამგვარად, საინვესტიციო სფერო გამსჭვალულია მთელი რიგი ეკონომიკური ურთიერთობებით ინვესტორებსა და მეწარმეებს შორის, რომლებიც კაპიტალური ღირებულების მესაკუთრისა და მისი მოსარგებლისათვის შემოსავლის მომტანი კაპიტალური ღირებულების მოძრაობითაა განპირობებული.

ამ ჯაჭვში საინვესტიციო რესურსების მოძრაობის პროცესის ანალიზით და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი კვლევის ობიექტი კომერციული ბანკების საინვესტიციო რესურსებია, შეგვიძლია დავინახოთ, რომ ამ ჯაჭვის საწყისი და საბოლოო რგოლები ჩაკეტილია (შეკრულია) და ახალ ურთიერთკავშირს ქმნის („მოგება - რესურსები“) ე. ი. დაგროვების პროცესი მდგრადია. ფულადი რესურსების დაგროვების პროცესი საინვესტიციო საქმიანობაში არ შედის, მაგრამ მისი აუცილებელი წანამდგარია. ამავე დროს ინვესტირება არის ფულის როგორც საინვესტიციო რესურსის არა მარტო მოძრაობა ერთი სუბიექტიდან მეორისაკენ, არამედ კაპიტალურ ღირებულებად მისი აუცილებელი გამოყენებაც.

ამგვარად, საინვესტიციო რესურსების წრებრუნვა სამი კვლავწარმოებითი ფორმით - რესურსებით, დაბანდებით და შემოსავლით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. თუმცა, ბანკების საინვესტიციო რესურსების (ბსრ) ვველა წყარო ერთნაირად არ მონაწილეობს სარესურსო ბაზის ჩამოყალიბებაში, მაგალითად ცენტრალური ბანკის სახსრები და ბანკთაშორის ბაზარზე მოზიდული სახსრები შედარებით ძვირია და არასაკმარისად სტაბილური იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებთან შედარებით; საწარმოთა ანგარიშსწორების ანგარიშებზე ნაშთების შენახვის პოტენციურად ხანმოკლე ვადისა და ანაბრების მოთხოვნამდე განთავსების მიუხედავად, რესურსების ამ ჯგუფში სტაბილური რესურსების ნაწილიც გვხვდება.

ბანკების საინვესტიციო რესურსები ყალიბდება როგორც დაგროვების შედეგი. დაგროვება ინვესტირებადელი სტადიაა, რომელიც ინვესტიციების წინაპირობა და პოტენციალია. ინვესტიციების ფორმის რესურსების ფორმირება მეორე კვლავწარმოებითი სტადიის - დაბანდების განხორციელებას ქმნის შესაძლებელს. ბანკების საინვესტიციო რესურსების დაბანდების სტადიაზე კვლავწარმოების ის კანონები იკრებენ ძალას, რომელთა შესაბამისადაც კაპიტალი მოძრაობს

ბის პროცესში წრებრუნვის სამ სტადიას და სამ ფუნქციურ ფორმას იღებს თანახმად ფორმულისა:

ფ - ს ... წ ... ს - ფ,

სადაც ფ - ფულია, ს - საქონელი და წ - წარმოება.

საწარმოო საქმიანობა ჩვენ ინვესტიციების წრებრუნვაში არ ჩაგვირთავს; ამის მიუხედავად იგი ინვესტიციების მიზნების მიღწევის აუცილებელი პირობაა. საწარმოო საქმიანობის პროცესში საწარმოები ურთიერთობებს ამყარებენ ერთმანეთთან, იძენენ და ყიდნიან ნედლეულს, მასალებსა თუ მზა პროდუქციას, ასევე მოსახლეობასთან - საქონლის ყიდვა - გაყიდვითა და ხელფასის გადახდით. ეს მოძრაობა წრებრუნვის პროცესს ასახავს, უწყვეტია და ლოგიკურად მთავრდება, მხოლოდ რესურსების სრული ბრუნვის შემდეგ.

სუბიექტებს შორის ბსრ - ების მოძრაობა ორი ფორმით ხდება: ფინანსური და რეალური (ნატურალური). ფინანსური ფულადი სახსრების დაბანდება აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში. ამ შემთხვევაში საკუთრების ტიტულები ეკვივალენტური გაცვლის საფუძველზე გადაინაცვლებს, რაც სპეკულაციური შემოსავლის მიღების უფლებას იძლევა; რეალური ინვესტირებისას კაპიტალს ახალი კაპიტალური დოვლათის შექმნაში აბანდებენ და ამით ან ახალი კაპიტალი იქმნება ან უკვე არსებული კაპიტალი მატულობს. ასე რომ, კაპიტალური ღირებულების მოძრაობა, მისი ღირებულებითი შინაარსის შესაბამისად, მთელი საინვესტიციო პროცესის განმავლობაში ხდება, ფულადი რესურსების მოზიდვით დაწყებული და დივიდენდების გაცემით დამთავრებული.

ბანკების საინვესტიციო რესურსების კიდევ ერთი თავისებურება დაკავშირებულია მწარმოებლების მიერ ინვესტირება ფულადი სახსრების ხანგრძლივად გამოყენებასთან კაპიტალური დაბანდებისათვის, რასაც თან ახლავს კაპიტალური ღირებულების მატება, და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ავანსირებული კაპიტალის დაბრუნებისკენ (ინვესტირებისთვის) არის მიმართული. ამ მოძრაობის პროცესში ღირებულება თანმიმდევრულად იცვლის რამდენიმე ფორმას: ფულადს, ავანსირებულს, მწარმოებელურს, შემდეგ ისევ ფულადი კაპიტალის.

საბანკო ინვესტირების პროცესის შინაარსი კომერციული ბანკის მიერ სხვადასხვა ობიექტში სახსრების დაბანდებაში მდგომარეობს, რომლის დროსაც მიზნები უცვლელია. ამიტომ ინვესტირება არის ბსრ - ების მიერ მთელი ფულადი მიმოქცევის თანმიმდევრულად გაცვლა. როცა საქონლისა და საფონდო ბაზრებზე სრულდება ეკვივალენტების გაცვლა, და წარმოების პროცესის გავლა მატერიალური ნაკადების სახით, როცა ღირებულება მწარმოებლური კაპიტალის ფორმას იღებს და მატულობს მატერიალური დოვლათის შექმნის პროცესში. ამ მატების გარეშე ვერც მეწარმის ინტერესები განხორციელდება და ვერც ინვესტორის, ე. ი. ვერც თვითონ ინვესტირების პროცესი შედგება.

სახსრების მოძრაობის სქემა კვლავ გვაბრუნებს ფორმულასთან, შემოსავალი ? რესურსების წარმოებაში ღირებულების მწარმოებლური ფორმა საქონლურით იცვლება. გაცვლის მეშვეობით მწარმოებელი მოგებას ითვისებს, გამანაწილებელი სფეროს მეშვეობით კი მის ნაწილს ბანკს უბრუნებს პროცენტების ან დივიდენდების სახით. შემდეგ კვლავ იწყება ბსრ - ების ფორმირების პროცესი: ინვესტორი (კომერციული ბანკი) ფულად სახსრებს აგროვებს მიღებული შემოსავლიდან, მეწარმე კი ამ სახსრებს დარჩენილი წმინდა

მოგებიდან და საამორტიზაციო ფონდიდან უყრის თავს. ამიტომ ინვესტიციების სფერო ორ მთავარ ელემენტს მოიცავს: საწარმოოსა და ფინანსურს. ამ სფეროსათვის სპეციფიკური სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებითაა საჭირო საინვესტიციო რესურსების რეგულირების მექანიზმის სტრუქტურის შედგენის დროს.

ფინანსების ბაზარზე ბსრ - ების ფორმირების პროცესის მკაფიოდ წარმოდგენისათვის მეთოდოლოგიურად მნიშვნელოვანია მათი ფუნქციონირების პრინციპების განსაზღვრა, რაც მათი ფორმირების სპეციფიკის გამოვლენაში დაგვეხმარება. პრინციპების გამოვლენისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ბაზარზე ისინი ყალიბდება იმ არსებული გარემოს ფარგლებში, რომელიც ბაზრის სხვა მონაწილეებსაც აერთიანებს. საინვესტიციო რესურსების ფორმირების პროცესზე გავლენას ახდენენ მარეგულირებელი ორგანოები, გარეშე ინვესტორები და მიკროეკონომიკური მოვლენები. ამ პროცესში აუცილებლად უნდა ვითვალიწინებდეთ როგორც თვითონ საინვესტიციო პროცესის მონაწილის, ისე მთელი ეკონომიკური გარემოს პერსპექტივებს.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ბსრ - ების ჩამოყალიბების პრინციპები:

- კომერციული ბანკის ურთიერთმოქმედება საინვესტიციო პროცესის დანარჩენ მონაწილეებთან;
- კომერციული ბანკის საქმიანობის შესაბამისობა და შეთანხმებულობა ეკონომიკური განვითარების მოქმედ პირობებთან;
- ბსრ - ების ფორმირების პერსპექტივების გათვალისწინება.

მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთმოქმედების პრინციპს. საინვესტიციო პროცესის მონაწილეების, მათ შორის კომერციული ბანკების, მთლიანობა ერთიან სისტემას ქმნის. საინვესტიციო რესურსების ფორმირება მხოლოდ იმ მხარეების ურთიერთმოქმედებითაა შესაძლებელი, რომლებიც ბსრ - ების ფორმირებაში მონაწილეობენ. მათი მოძრაობის ყოველ ეტაპზე საბაზრო ეკონომიკის მონაწილეებს თანამოქმედება უწევთ. ყველაზე მომგებიანი მდგომარეობა იმ მხარეს აქვს, რომელიც უკეთესადაა მორგებული ამ თანამშრომლობას და შეთავისებული აქვს შესაბამისი უნარ - ჩვევები, პირველ რიგში - კომუნიკაციის უნარი. როგორც ცნობილია ის, ვინც ინფორმაციას ფლობს, მსოფლიოს განაგებს. ამიტომ რესურსების ფორმირების მთავარი და აუცილებელი პირობაა ინფორმაციის გავლის არხების არსებობა, თანაც, ინფორმაციის მოძრაობა ორივე მიმართულებით უნდა ხდებოდეს - როგორც მთელი სისტემიდან საინვესტიციო პროცესის კონკრეტული მონაწილისკენ, ისე საპირისპირო მიმართულებით. ეს კი მხოლოდ საინვესტიციო რესურსების ფორმირების მონაწილეებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარების პირობებშია შესაძლებელი.

ხსენებულ პროცესში ცალკეული მონაწილეები გავლენას ახდენენ ერთმანეთზე და ამისთ რესურსების ფორმირების სტრუქტურის დაუგეგმავ ცვლილებებს იწვევენ. ამგვარი რამ სხვა სისტემაში ხდება, რაც სისტემების განვითარების დამახასიათებელი მაჩვენებელია. ამდენად, ამა თუ იმ გადაბმის არსებობა შემდგომი სრულყოფის დამახასიათებელი ნიშანია.

შეთანხმებულობის პრინციპი ბსრ - ების ფორმირებაში

მონაწილე ყველა მხრისგან მოითხოვს ეკონომიკური განვითარების მოქმედ პირობებთან მათ სავალდებულო შესაბამისობას, ე.ი. გარემოს მოთხოვნების აუცილებელ დაცვას (ურთიერთმოქმედების პრინციპისგან განსხვავებით, სადაც იგულისხმება, რომ ფინანსების ბაზრის მონაწილე ურთიერთქმედების დანარჩენ მონაწილეებთან, რომლის დროსაც ხელმძღვანელობს საკუთარი მოტივებითა და ბაზარზე ქცევის წესებით). ამ პრინციპის შესრულების დროს ბსრ - ების ფორმირების დასაქმებული კომერციული ბანკები გარემოს მოთხოვნებით უნდა ხელმძღვანელობდნენ, ე. ი. ამ პრინციპებით მოქმედებდნენ, რომლებსაც გარემო კარნახობს მათ, და ის ვალდებულებები შეასრულონ, რომლებსაც მაკროეკონომიკური გარემო აკისრებს მათ.

თუმცა ასეთი ზემოქმედება სრული ვერ იქნება პერსპექტიულობის პრინციპის გაუთვალისწინებლად. ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებით ბანკებს შეუძლიათ საინვესტიციო რესურსების ფორმირების მაქსიმალურ დონეს მიაღწიონ, რადგან პერსპექტიული მაჩვენებლის გათვალისწინება მომავლისთვის მუშაობას ხდის შესაძლებელს. ამგვარი პროგნოზირება, ფინანსების ბაზრის ყველა მონაწილეს არ ხელეწიფება - მხოლოდ ტექნიკურად და ტექნოლოგიურად კარგად აღჭურვილ სუბიექტებს. თანაც მხოლოდ აღნიშნული პრინციპის დაცვის პირობითაა შესაძლებელი ბსრ - ების ამ შეძლებისდაგვარად მაქსიმალური დონის მიღწევა, რომელიც აუცილებელია როგორც მიმდინარე, ისე საპროგნოზო საინვესტიციო პროცესის საჭიროებებისთვის.

უცხოეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კომერციული ბანკების საინვესტიციო პოლიტიკა და პრიორიტეტები ხშირად არ ემთხვევა სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკის მიზნებსა და პრიორიტეტებს. კომერციული ბანკების დიდ ნაწილს რესურსული ბაზის ხარისხი და სტრუქტურა საერთო სახელმწიფო მნიშვნელობის და სერიოზული კომერციული მიმზიდველობის მქონე მსხვილი პროექტების დაფინანსებაში მონაწილეობის შესაძლებლობას არ აძლევს მათ. ამის გათვალისწინებით არაერთ ქვეყანაში შექმნილია განვითარების სპეციალური ფინანსური ინსტიტუტების (ბანკები, ფონდები) სისტემა, რომლებიც პრიორიტეტული საინვესტიციო პროექტების მხარდევრას უზრუნველყოფენ. განვითარების დაფინანსებაში, ცხადია, დაწესებულებათა საერთაშორისო სისტემაც მონაწილეობს, რომელშიც გაერთიანებული არიან სსფ, მსოფლიო ბანკი, ემო, ეთგო, საერთაშორისო ანგარიშსწორება ბანკი და განვითარების ნაირგვარი რეგიონული ბანკები.

პრიორიტეტულ პროექტებზე მუშაობის (მათი განხილვა, მონიტორინგის ორგანიზება) ფუნქციები და როლი უმრავლეს ქვეყნებში სპეციალიზებულ საფინანსო - საკრედიტო ინსტიტუტებს აქვთ დაკისრებული, რომელთა საქმიანობის სფეროა სახელმწიფოს საინვესტიციო რესურსების მულტიპლიკაცია და მათი წარმართვა ეკონომიკის პერსპექტიულ დარგებში. განვითარების ბანკი (კორპორაცია) შეიძლება იყოს სახელმწიფო ან კერძო ბანკი (კორპორაცია), რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს და მსხვილი პროექტების გრძელვადიან დაკრედიტებას. ასეთი ბანკები არ იღებენ დეპოზიტებს ექვეიან ანგარიშსწორებებს და არ გასცემენ მოკლევადიან სესხებს. ამ ტიპის ინსტიტუტები გამორჩეულ როლს თამაშობენ ეკონომიკურ ზრდა - განვითარებაში. მათ რიცხვში გერმანიის განვითარების ბანკი (KfW), საფრანგეთის გან-

ვითარების სააგენტო (ADF) იაპონიის განვითარების ბანკი (DBI), ესპანეთის სახელმწიფო დაკრედიტების ინსტიტუტი (ICD), ჩინეთის განვითარების ბანკი (CDB), ინდოეთის მრეწველობის განვითარების ბანკი (IDBI), ბრაზილიის სოციალურ - ეკონომიკური განვითარების ეროვნული ბანკი (BDNES), და ა. შ.

ბანკების საინვესტიციო საქმიანობის კონკრეტული მიმართულებები ქვეყნების განვითარების დონეზეცაა დამოკიდებული. მაგალითად სტაბილური ეკონომიკის მქონე განვითარებულ ქვეყნებში (გფრ, საფრანგეთი, ესპანეთი, იაპონია) განვითარების ბანკები აფინანსებენ სოციალურ, ეკოლოგიურ და ისეთ პროექტებს, რომლებიც უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას უკავშირდება; სწრაფად განვითარებად ქვეყნებში (ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ყაზახეთი) შექმნილი განვითარების ბანკები ეროვნულ მეურნეობათა იმ კონკრეტულ დარგებს აკრედიტებენ, რომლებიც მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას უწყობს ხელს.

ბსრ - ების ფორმირებაზე არაერთი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც ან მაკროეკონომიკურია, ან მიკროეკონომიკური. როდესაც საწარმოების ანგარიშებზე რიცხული სახსრები კლებულობს იკვეცება ორგანიზებული დანაშოგების მატება და იზღუდება უცხოური კრედიტების მოზიდვის შესაძლებლობები, ეს საბანკო კაპიტალის დონეს აქვეითებს და საინვესტიციო სფეროს მიმართ ინტერესს უკარგავს საზოგადოებას. კლიენტურას უქრება ბანკების მიმართ ნდობა, რაც აფერხებს ეკონომიკურ ფინანსურ სექტორში სახსრების რაციონალურად გადანაწილებას, აძლიერებს სახსრების მოზიდვის მოკლევადიან ხასიათს და რესურსულ ბაზად ფულის ბაზრის უპირატესად მოკლევადიანი ინსტრუმენტებით ავსებს. ასეთ პირობებში საინვესტიციო სფეროში ბანკების მონაწილეობის გააქტიურების აუცილებელი წინაპირობაა საბანკო სისტემის კაპიტალიზაცია.

იმისათვის, რომ სასურსათო ბაზრის სტრუქტურის ცვლილებათა პერიოდში საბანკო სისტემა მდგრადად ვითარდებოდეს, ზოლო ეკონომიკის დაკრედიტება არ ფერხდებოდეს, ბანკის კლიენტებს უნდა ეძლეოდეთ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ვადამდე გატანის უფლების მქონე ანაბრებსა (ოლონდ - უფასო მაღალი პროცენტებით) და ამ უფლების მომნიშვნელო ანაბრებს შორის (ოლონდ ნაკლები პროცენტებით). ეს, ერთი მხრივ ბანკებს აძლევს ასეთი ანაბრების ნაწილში რესურსული ბაზის სტაბილურობის იმედს, ზოლო, მეორე მხრივ, კლიენტებს - არჩევანის შესაძლებლობას.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია საინვესტიციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. ინვესტიციების ბაზარზე ფაქტობრივად მხოლოდ კონვერტიული ბანკები საქმიანობენ, არადა, მსოფლიო პრაქტიკაში ამ ბაზარზე სხვა, თანამდევნი ინსტიტუტებიც ახდენენ არსებით გავლენას (საპენსიო და ვენჩურული ფონდები, საკრედიტო თუ სარეიტინგო სააგენტოები), მკაცრად თუ ვიტყვით, საინვესტიციო პროექტების ბაზარი საერთოდ არ არსებობს ეს ძალიან უარყოფითად მოქმედებს ბსრ - ების რეგულირების მექანიზმის სრულყოფაზე.

რეგულირების მექანიზმის გადართულად მოქმედებაზე ძალიან საგრძნობია რესურსებისა და პერსონალის მენეჯმენტის გავლენა. საინვესტიციო რესურსების ნაწილში მენეჯმენტის თავისებურება ეკონომიკური პროცესების მართვისა

და საბანკო ოპერაციების ორგანიზაციის ერთგვაროვანი ტექნოლოგიის უქონლობა. ბაზარზე არსებული კონკურენტის პირობებში ბანკი თვითონ შეიმუშავებს ქცევის საკუთარ წესებს, მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური ვითარებას კი ერთხელ მიღებული ზერხებისა და მეთოდების კორექტირებასა და გაუმჯობესებას მოითხოვს.

რაც შეეხება ბანკის პერსონალის მართვას, იგი ორიენტირებულია თანამშრომელთა ცოდნისა და გამოცდილების რაციონალურად გამოყენებაზე, რისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი შრომის მოტივაციას, შრომის სწორად ორგანიზებას და კადრების რაციონალურად განაწილებას, სტიმულირებას და კონტროლს, კოლექტივში ჯანსაღი და საქმიანო ურთიერთობების პრინციპების დანერგვას.

Irina Mamaladze

THE BANKS PRINCIPLES AND FEATURES OF THE FORMATION OF THE INVESTMENT AND RESOURCES

SUMMARY

Investment banks and financial markets are part of the resources market, the financial market is a market economy - a functional part of the act.

Financial instruments financial markets trade in an organized or informal system. The market share of the money, credit, and capital mobilization.

Render financial market funds, both private and state enterprises for investment.

Investment banking resources in the context of a commercial bank by different vendors is which goals are unchanged.

Foreign experience shows that commercial banks

and investment policies and priorities often do not match the state's investment policy objectives and priorities. The quality and structure of the overall resource base of commercial banks, a large part of national importance and significant commercial development of large-scale projects to give them the opportunity to participate.

Priority projects in most countries of the functions and role of specialized financial - credit institutions are entrusted with the conduct of economic activity in areas of the state's investment resources, animation, and their prospective fields.

The investment activities of banks in a particular direction depends on the level of development of the countries. Stable economies in the developed countries, the banks are financing the social, ecological, and the projects that are related to the latest technologies.

ლიტერატურა:

1. Денисов А Ю Инвестиции и инициации. М.: ЛИС, 2007.
2. Мобиус М. Руководство для инвестора по развивающимся рынкам. М.: Афон, 2006.
3. Хейлфонер Р., Туроу Л. Экономика для всех. – Новосибирск.: Экономика, 2006.
4. Инвестиционная деятельность российских и зарубежных банков. – [http:// Rknowledge.allbert.ru/bank/2c0665_1/html/](http://Rknowledge.allbert.ru/bank/2c0665_1/html/)
5. Ван Хорн Дж. К. Основы управления финансами. – М.: Финансы и статистика, 2006.
6. Банки: Мировой опыт. Аналитические и реферативные материалы. 2009. №1.